



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N016/20¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

მარიამ ბიბილური (სტუდენტი)

შეჯამება

ადვოკატი პირის თხოვნით გაეცნო მისი საქმის მასალებს, გასცა ზეპირი რჩევები და მოგვიანებით სასამართლო პროცესში ჩაერთო ამ პირის წინააღმდეგ მხარის წარმომადგენლად. ზეპირი ფორმით რჩევის მიცემა არის თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების საფუძველი და რა ეთიკური ვალდებულება გააჩნია ადვოკატს კონსულტაციის მსურველი პირის მიმართ?

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ მიმოიხილა აპეკ-ის 6.2(ა) და 4.1 მუხლები, კერძოდ ადვოკატის მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა და კონფიდენციალობის ვალდებულების დაცვა. ადვოკატს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება იურიდიული რჩევის მიღების მსურველ პირთან გასაუბრების ეტაპიდანვე გააჩნია. ასეთ დროს, პოტენციური კლიენტი აცნობს ადვოკატს საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისთვის პროფესიულ საიდუმლოებას წარმოადგენს და იმავე საქმეზე შემდგომში წარმომადგენლობის განხორციელება ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფუძველია. ამ შემთხვევაში აპეკ-ით განსაზღვრული რეგულაციები ადვოკატზე სრული მოცულობით ვრცელდება.

დასკვნა

აღნიშნულ შემთხვევაში წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატს პოტენციური კლიენტის მიმართ აკისრია პროფესიული პასუხისმგებლობა, შესაბამისად, „პირველი კლიენტის“ წინააღმდეგ იმავე საქმეში წარმომადგენლად ჩართვა არღვევს ეთიკურ ვალდებულებას.

¹ <https://www.gba.ge/pdf/60ab46667ad14.pdf/016.20%20gacemis%20tarigi%2018.06.20.pdf>